

ადრეცარცული ბელემნიტიდების როსტრუმების დაზიანებების შესახებ

შალვა კელეპტრიშვილი

ელ-ფოსტა: sh.keleptrishvili@tsu.ge

გეოლოგიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ქ. 13

რეზიუმე

ბელემნიტიდები წარმოადგენენ თავფეხიანი მოლუსკების ძალიან მნიშვნელოვან ჯგუფს იურული და ცარცული ნალექების სტრატეგრაფიისათვის. მათი ნაშთები როსტრუმებისა, და იშვიათად ფრაგმენტების სახით, ხასიათდებიან გლობალური გავრცელებით ევროპის, აზიის, აფრიკის და ამერიკის მეზოზოურ ნალექებში.

ბელემნიტიდების როსტრუმები სიცოცხლის დროინდელი ტრავმული დაზიანებით პირველად აღწერილი და დასურათებული იქნა XIX საუკუნის 40-იან წლებში.

შესწავლილ იქნა ადრეცარცული ბელემნიტიდების რამოდენიმე ათეული როსტრუმი, რომლებზედაც აღენიშნება სიცოცხლისდროინდელ დაზიანებათა კვალი. გვხვდება შემდეგი ფორმის დაზიანებები: ა) როსტრუმის გაღუნვა; ბ) როსტრუმის წვეროს მომრგვალება და გადაადგილება; გ) აპიკალური ხაზის გაღუნვა და გადახრა; დ) როსტრუმის მოტეხა; ე) როსტრუმის ზედაპირული შრეების დაზიანება. დაზიანებათა ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ბელემნიტიდების ბიოლოგიის ზოგიერთი საკითხი.

ჩვენს მიერ აღწერილია სიცოცხლის ადრეულ სტადიაზე როსტრუმის მთლიანად მოტეხის რამოდენიმე შემთხვევა. როსტრუმების მექანიკური დაზიანებების (მოტეხების) ყველა შემთხვევა შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: ა) მოტეხები, რომლებმაც გამოიწვიეს მანტის დაზიანება; ბ) მოტეხები მანტის მნიშვნელოვანი დაზიანების გარეშე.

როგორც ფრაგმონი, ასევე როსტრუმი განიცდიდა როგორც სიცოცხლისდროინდელ, ასევე სიკვდილისშემდგომ დაზიანებებს. ამასთან ფრაგმონები ნამარხ მდგომარეობაში გვხვდება ძალზე იშვიათად. ამიტომაც იშვიათი მათი დაზიანებების მონაპოვრები, მაგრამ ეს იშვიათი მასალაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ფრაგმონის დაზიანება (განსაკუთრებით მისი საწყისი ნაწილისა) არ ახდენდა გავლენას მის სიცოცხლისუნარიანობაზე. ჭრილობების მოშუშების შემდეგ ცხოველი აგრძელებდა არსებობას.

როსტრუმისა და ფრაგმონის სიცოცხლისდროინდელი დაზიანებების, აგრეთვე სიკვდილის შემდგომი დეფორმაციებისა და ცვლილებების ანალიზმა გვიჩვენა, რომ არ შეიძლება ერთნიშნად განვსაზღვროთ როსტრუმის სიცოცხლის დროინდელი აგებულება. ალბათ, ბელემნიტიდების სიცოცხლის დროს ამ ორგანიზმების როსტრუმის ძირითადი ნაწილი იყო მაგარი, კალციტოვანი, ხოლო ალვეოლასთან მიმდებარე ნაწილში – რბილი, ელასტიური, ორგანული. როსტრუმების ეს ნაწილი ბელემნიტიდების სხვადასხვა ჯგუფში სხვადასხვა ზომისა იყო.